მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲗᲐᲛᲣᲖᲘ) №7 (406) (5776) 2015

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

დღეს ნომერშია:

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის თანადგომას უცხადებს საქართველოს მიხეილ მირილაშვილი მილიარდერთა შორის

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციპი ხოტოველი მე-2-ე გვ.

ისტორიულ საძმობლოს – საქართველოს – თანადგომას უცხადებს.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ბ-ნი პაატა კალანდაძე ,,მენორას" რედაქტორის შეკითხვებს პასუხობს მე-3-ე გვ.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი ოუვალ ფუქსი ირანის საფრთხეზე მიუთითებს მე-4-5გვ

როცა ადამიანები ადამიანებისათვის ირჯებიან, ცხოვრების ძძიძე ტვირთი მსუბუქი საჭარებელი ხდება, ამ საკითხზე გვესაუბრება ,,ხესედ ელიაჰუს"დირექტორი რევაზ შათაშვილი მე-6-7გვ

ბარაკ ობამა ებრაელებთან ადრინდელი ურთიერთობის აღდგენას ცდილობს? ევროპის რაბინთა საბჭომ რატომ დააჯილდოვა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი? მე-8 გვ



ციპი ხოტოველი აფრთხილებს...

ყეზრა ბარდანაშვილი ცხოვრების დიდ გზას დაადგა მე-8 გვ.

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის
განცხადება

თბილისში მომხდარ დამანგრეველ წყალდიდობასთან დაკავშირებით, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ხელმძღვანელობა ავრცელებს განცხადებას,რომელსაც ხელს აწერენ ეაე კონგრესის პრეზიდენტი იულიუს მაინლი და პირველი ვიცე პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი. განცხადებაში ნათქვამია:

— ევრაზიის ებრაელთა კონგრესი ქართველ ხალხთან ერთად გამოხატავს ღრმა მწუხარებას თბილისში მომხდარ სტიქიური უბედურებისას ადამიანების დაღუპვის გამო. ევრაზიის ებრაელთა კონგრესი გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და ახლობლებს და ლოცულობს იმისათვის, რომ მსხვერპლი არ გაიზარდოს. საქართველო ათასწლეულების განმავლობაში იყო და დღესაც არის ებრაული თემის სტუმართმოყვარე სახლი. ებრაელობას ყოველთვის ემახსოვრება ის თბილი, კეთილმეზობლური ურთიერთობა, რაც აკავშირებდა და აკავშირებს ქართველ ხალხთან. და დღეს, როდესაც საქართველოს ასეთი უბედურება დაატყდა თავს, ევრაზიის ებრაელთა კონგრესი სოლიდარობას უცხადებს ქართველ ხალხსა და მის ხელისუფლებას. მშვენიერ თბილის-ქალაქს ვუსურვებთ, მალე დასძლიოს დღევანდელი სიძნელეები და გამოვხატავთ მზადყოფნას ქართველ ხალხს აღმოვუჩინოთ სათანადო დახმარება წყალდიდობის შედეგების დაძლევაში

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი
იულიუს მაინლი,
ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პირველი ვიცე-პრეზიდენტი
მიხეილ მირილაშვილი

თბილისში დატრიალებული ტრაგედია ცხადია, ქართველ ებრაელთა სატკივარიც გახდა — სხვადასხვა ქვეყნებში თუ საქართველოში მცხოვრები ებრაელები დიდი გულისტკივილით ადევნებენ თვალს იმას, რაც თბილისში ხდება. თბილისს დახმარების ხელი გამოუწოდა მრავალმა ქართველმა ებრაელმა, მათ შორის სოლიდური თანხა შესწირეს:
ნათელა პატარკაციშვილმა, მიხეილ მირილაშვილმა, დავით იაკობაშვილმა, გაბრიელ მირილაშვილმა და სხვებმა.

კატასტროფის მძლეველნი

ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი სულიერი საწყაო — ჭირში თანადგომის, გატანის, სიყვარულის ნიჭი. ბუნებრივი, პოლიტიკური, სამხედრო, თუ ეკონომიკური კატაკლიზმების შემდეგ ჩვენში ხშირად გაიგონებთ შეკითხვას „რა გვეშველება?!“ ივნისის კრიზისულ დღეებში ამ კითხვას ჩინებული პასუხი გაეცა — საკუთარ თავთან მიბრუნება, ეროვნული თვისებების წარმოჩენა. როცა ეს უკვე ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი ეროვნული თვისებების წარმოჩენა ყოველდღიურობად იქცევა, ყველაფერი, ღვთის წყალობით, თავის ადგილზე დადგება.

დღეს სავსებით სამართლიანად გამოვხატავთ აღფრთოვანებას ჩვენი ახალგაზრდობით. ის თვისებები, რომელიც ამ კრიზისულ დღეებში ქართველმა ახალგაზრდობამ გამოავლინა,ზოგად ქართული მოვლენაა და არა ერთი თაობისა — გამოვლინდა ქართული ხასიათის, მამათა, დედათა აღზრდის სტილი. ქართველი ახალგაზრდობა არის ისეთი, როგორადაც მას ზრდიან დედები და მამები, საზოგადოებრივი აზრი, ქართული მწერლობა, მუსიკა, თეატრი. ამ გზით უბრუნდება ხალხი საკუთარ თავს. სხვაგვარად დღემდე ვერ მოაღწევდა და ვერც კაცობრიობის დიდ ოჯახში დაიმკვიდრებდა თავს. ეს კი მომავლის რწმენას გვიმტკიცებს.

გურამ გათიაშვილი

მიხეილ მირილაშვილი ისრაელის მილიარდერთა რეიტინგში მე-12 ადგილზე

TheMarker-მა შეადგინა ისრაელის უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგი.აღმოჩნდა, რომ პატარა ისრაელში 500 უმდიდრესი ადამიანია. ამათგან 34 დოლარის მილიარდერია. 10 ივნისს გამოქვეყნებულ რეიტინგში მე12-ე ადგილზე აღმოჩნდა ,,ქართველი“ ოლიგარქი მიხეილ მირილაშვილი. იგი 2.25 მილიარდის მფლობელია. აი, ალექსანდრე მაშკევიჩი კი, რომელიცორბეს-ის რეიტინგის მიხედვით ყველაზე მდიდარ ისრაელელთა შორისაა, როგორც 2.2 მილიარდის პატრონი და პირველ ათეულში შედის, ამ სიაში საერთოდ ვერ მოხვდა. ისრაელის უმდიდრეს 34 ადამიანთა შორის ვერც ლ.ლევაევი მოხვდა Forbes-მა მისი ქონება1.2 მილიარდი დოლარით შეაფასა. ყველაზე მდიდარ ისრაელელად თჰეარკერ-მა მაროკოში დაბადებული მედიამაგნატი პატრიკ დახი დაასახელა. იგი 16.45 მილიარდს ფლობს. საგულისხმოა, რომ იგი ამ რეიტინგში პირველად გამოჩნდა. მას მოსდევენ, თუმცა დიდად განსხვავებული შესაძლებლობებით სტეფ ვერტხაიმერი ($8.25 მილიარდი) და შერი არისონი ($5 მილიარდი), პირველ ათეულში ასევე შევიდნენ არნონ მილჩენი ($4.2 მილიარდი), იცხაკ თშუვა ($4 მილიარდი), ტედი საგი (3.5 მილიარდი), იდან ოფერი ($3.25 მილიარდი), გილ შვიდი ($3.1 მილიარდი), ხაიმ საბანი ($2.8 მილიარდი) და ეიალ ოფერი (2.4 მილიარდი).

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ციპი ხოტოველმა საქართველოს დახმარების მზადყოფნა გამოთქვა

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციპი ხოტოველი ესაუბრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს თამარ ბერუჩაშვილს და სოლიდარობა გამოხატა საქართველოსადმი სტიქიით გამოწვეული ტრაგედიის გამო.

მან მიუსამძიმრა დაღუპულთა ოჯახებს, ხოლო დაშავებულებს გამოჯანმრთელება უსურვა.

მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა ისრაელის მთავრობის სურვილს მეტი დახმარება გაეწიოს საქართველოს, გარდა იმისა, რომ 2 ისრაელელი ვეტერინარი ჩამოდის ზოოპარკის დასახმარებლად. აგრეთვე აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი ორმხრივი ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების ფონზე ხდება.

ისრაელის ელჩი დამატებით გაცნობებთ, რომ დღეს 2 ისრაელელი ვეტერინარი ჩამოდის საელჩოს ინიციატივით თბილისის ზოოპარკის დასახმარებლად, არსებული სიტუაციის დასაძლევად და რეაბილიტაციის სამომავლო გეგმის შესამუშავებლად. ამის შესახებ ინფორმირებულია ქალაქის მერი, ბატონი დავით ნარმანია. ელჩმა ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას.

ადოლფ შაევიჩი: იმათ ვემხრობი, ვინც ჰომოსექსუალებს ხეზე ჰკიდებს

ჯურნალისტები ანტონ კრასოვსკი და ქსენია სობჩაკი შეხვდნენ სხვადასხვა კონფესიის ადამიანებს და ჩაიწერეს მათთან საუბარი. ამათ შორის გახლდათ რუსეთის ერთ-ერთი მთავარი რაბინი ადოლფ შაევიჩი. საუბრისას ა. შაევიჩმა ჰომოსექსუალთა მიმართ რამდენიმე მკვეთრი განცხადება გააკეთა. როცა ქსენია სობჩაკმა გაიხსენა გეების პარადი იერუსალიმში, ა. შაევიჩმა თქვა:

— ეს ძალიან ცუდია. ჩვენ ასეთი რამეებს ვეწინააღმდეგებით... მამაკაცთა შორის სექსუალური ურთიერთობა უდიდესი ცოდვაა, ამ ცოდვის გამო შესაძლოა ადამიანი ქვებით ჩაიქოლოს.

შაევიჩმა დასძინა:

— ისრაელი არ არის იდეალური ქვეყანა.

ა. შაევიჩის აზრით, იდეალურია ის ქვეყანა, რომელიც მცნებებით ცხოვრობს. როცა ჟურნალისტმა კრასოვსკიმ შენიშნა, რომ „მუსლიმური სახელმწიფო ირანი მცნებებით ცხოვრობს“ შაევიჩმა თქვა „ის მუსლიმური სახელმწიფოები, რომლებიც ყურანით ცხოვრობენ, წინააღმდეგობის გრძნობას არ აღძრავენ.“ ქსენია სობჩაკმა შენიშნა რომ ირანში ჰომოსექსუალიზმი სიკვდილით ისჯება“, შაევიჩმა დასძინა „მივესალმები ჰომოსექსუალიზმისადმი მათს დამოკიდებულებას“.

ისრაელში უცხოური ტურიზმი შემცირდა

ისრაელში გამოქვეყნებული წლის პირველი ოთხი თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გამოიკვეთა უცხოური ტურიზმის შემცირების ტენდენცია. ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მოერ გამოქვეყნებული მონაცემებით, იანვრიდან აპრილის ჩათვლით სასტუმროებში დაფიქსირდა ექვსი მილიონი ღამის მთეველი, რაც 10% ნაკლებია წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ამასთან სასტუმროებში 6% გაიზარდა ისრაელელ ღამისმთეველთა რაოდენობა, უცხოელ ტურისტთა რაოდენობა კი 25% შემცირდა.

სასტუმროების სექტორს გასაჭირი უდგათ — ნახევრად ცარიელია.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ბატონი პაატა კალანდაძე „მენორას“ რედაქტორის შეკითხვებს პასუხობს

— თქვენ ერთხანს იყავით საქართველოს პირველი კონსული ისრაელში. ისრაელში საქართველოს პირველ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, პროფესორ ბ-ნ რევაზ გაჩეჩილაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოს საელჩოს ისრაელში. მე მახსოვს, ამ მიზნით თქვენი პირველი გამგზავრება ისრაელში. ისრაელის შემდეგ სხვადასხვა ქვეყნებში იყავით დიპლომატიურ სამუშაოზე. და აი, შარშან ელჩის რანგში დაუბრუნდით ქვეყანას, რომელიც გიყვართ — ისრაელს. ხელახლა მიბრუნებულმა ჰპოვეთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ქვეყნის

ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში,

ბ) ეკონომიკაში,

გ) თავდაცვისუნარიანობაში,

დ) კულტურაში,

ე) რაც მთავარია, საქართველოსადმი დამოკიდებულებაში.

და თუ ჰპოვეთ, როგორია იგი, რა ხასიათისაა ეს ცვლილებები?

— კიდევ ერთხელ, დიდი სიამოვნებით გავიხსენებ 1998 წელს, როდესაც მე, ბატონ რევაზ გაჩეჩილაძესთან ერთად საშუალება მომეცა მონაწილეობა მიმეღო საქართველოს საელჩოს გახსნაში ისრაელის სახელმწიფოში. ეს ეპიზოდი ჩემი ცხოვრების ერთერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამიტომაც ისრაელის სახელმწიფოში ახალ რანგში დაბრუნება, არ დაგიმალავთ, ჩემთვის ძალზე სასიხარულო იყო. უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ 14 წლიანი განშორების შემდეგ, პირველ დღეებში ისრაელი, მართლაც ვერ ვიცანი. ის პოზიტიური ცვლილებები, რაც მიუთითებს ქვეყნის წინსვლაზე ვიზუალურადაც ადვილად შესამჩნევია. ფაქტია, რომ ქვეყანა პროგრესირებს;

— როგორ დაახასიათებდით საქართველო-ისრაელის ურთიერთობის დღევენდელ დონეს, როგორ ვლინდება ეს ურთიერთობა თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციებში ხმის მიცემისას?

— უდავოდ, დღევანდელი ურთიერთობები საქართველოს და ისრაელის სახელმწიფოს შორის მეგობრობის და კეთილგანწყობის ერთ–ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ. კავშირები და თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში წლიდან–წლამდე იზრდება. მაგრამ, ასევე, უნდა ვიყოთ გულახდილნი და აღვნიშნოთ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა ვაჭრობა, ჩვენ უფრო მაღალ მაჩვენებლებზე უნდა გავიდეთ. დღეს თითქმის არ არსებობს ისეთი დარგი, რომელშიც ეს ორი ქვეყანა არ თანამშრომლობდეს. ეს ხელსაყრელი ვითარება მიგვანიშნებს, რომ არსებული თანამშრომლობა კიდევ უნდა გაფართოვდეს, ანუ უნდა იქნას ერთობლივად მოძიებული თანამშრომლობის ახალი მიმართულებები. ამ კუთხით, მაგალითად, შემიძლია მოვიყვანო თანმშრომლობა განათლების სფეროში, რომელიც მიმართული იქნება ორი ქვეყნის ახალგაზრდების დაახლოვებისაკენ. მაგალითად ერთობლივი საზაფხულო ბანაკები, სასწავლო–სამეცნიერო პროგრამები, სპორტული ღონისძიებები და სხვა. თანამშრომლობის ასეთი ფორმა უფრო მყარ საფუძველს ჩაუყრის ორი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობებს. ხსენებულთან დაკავშირებით საელჩოში უკვე შექმნილია სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებასაც უკვე მიმდინარე წელს დავიწყებთ;

— ფაქტია, რომ ევროპის ქვეყნებში საქართველოდან ბევრმა კრიმინალმა შეაღწია. ჯერ საქართველოს, მერე ისრაელის მხრიდან უვიზო მიმოსვლის შემოღებამ როგორი ტენდენცია გამოკვეთა, ხომ არ შეინიშნება საქართველოდან შესული კრიმინალური დაჯგუფებების მომრავლება-გააქტიურება?

— ვეყრდნობი რა ადგილობრივ პრესას, თუ სხვა საინფორმაციო წყაროებს, დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოდან ე. წ. „კრიმინალი გასტროლიორები“–ს აქტივობა, ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება;

— ისრაელ-საქართველოს შორის ტურიზმის გაძლიერებამ, რამდენადაც ვიცი, დადებითად იმოქმედა საქართველოს იმიჯზე ამ ქვეყანაში. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით, ხომ არ მზადდება რაიმე სიახლეები, რომელიც გააძლიერებდა ამ ტენდენციას?

— საქართველო–ისრაელის თანამშრომლობის ერთ–ერთი თვალსაჩინო დარგი ტურიზმი გახლავთ. ისრაელელი ტურისტები, ყოველწლიურად, სულ უფრო და უფრო ითვისებენ საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებს. შესაბამისად ყოველწლიურად იზრდება მათი რაოდენობაც. პარალელურად იზრდება ისრაელური ავიაკომპანიების ფრენების რაოდენობაც ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის მიმართულებით. ყოველივე ეს მეტყველებს ისრაელის მზარდ ინტერესზე საქართველოსადმი. ამ ტენდეციას ძალზე დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს მთავრობა - მიმდინარე წელს საქართველოს ხელისუფლების დაფინანსებით ისრაელში ჩატარდა 2015 წლის ტურისტული სეზონის სარეკლამო კამპანია. ამას ემატება, საქართველოს საელჩოს, საქართველოს ტურიზმის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტების ერთობლივი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული გახლდათ ისრაელის მოსახლეობაში საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციისაკენ. ვფიქრობ, რომ ისრაელელი ტურისტების საქართველოში მოზიდვის კუთხით შემუშავებული გვაქვს სწორი სტრატეგია, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2014 წელს საქართველოში მხოლოდ ისრაელელი ტურისტების რაოდენობა 45. 000–მდე გაიზარდა. გარწმუნებთ, რომ მიმდინარე წლის ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდი იქნება;

— საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ, საქართველოს მწერალთა კავშირმა 2011 წელს იერუსალიმში ჩავატარეთ შოთა რუსთაველის პირველი კვირეული—ქართული პოეზიის დღეები. ამ დღეებმა თვალსაჩინოდ გამოკვეთა ის, რომ ისრაელში ცოტა რამ იციან საქართველოზე, მის კულტურაზე. მუშავდება თუ არა რაიმე გეგმა, რომელიც გააუმჯობესებდა ქართული კულტურის, ტრადიციების პროპაგანდას ამ ქვეყანაში?

— გეთანხმებით, რომ 2011 წელს, ისრაელში შესაძლებელია შედარებით უფრო ცოტა რამ იცოდნენ საქართველოს შესახებ, ვიდრე დღეს — 2015 წელს. ეს ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი პოზიტივისაკენ. დამეთანხმეთ, რომ მე ამის განსჯის უფლება ნადვილად გამაჩნია, გამომდინარე ჩემი პირადი პრაქტიკიდან. დღევანდელი ვითარებით, რთულია ნახო ისრაელში ვინმე ისეთი, ვისაც არ სმენია საქართველოს შესახებ. ეს არის შედეგი ორი ქვეყნის ურთიერთობების გააქტიურებისა და ამ პროგრესის შესახებ ინფორმაციული წვდომისა. ამას, აგრეთვე, ემატება ის აქტიურობა, რომლითაც ისრაელში მცხოვრები ქართველ – ებრაელთა თემი ყოველთვის გამოირჩეოდა. ვფიქრობ, რომ საქართველოს ცნობადობის ამაღლებას ხელი შეუწყო ისრაელის ტურისტების რაოდენობის ზრდამ. რაც შეეხება ისეთ ღონისძიებებს, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს კულტურის ადგილობრივებისათვის გაცნობა, ამასთან დაკავშირებით საელჩო საკმარის აქტიურობას იჩენს. ასე მაგალითად: წლის დასაწყისიდან უკვე განხორციელდა 35 სხვადასხვა ქართველი მხატვრის გამოფენები იერუსალიმსა და თელ-ავივში. ქართული ფოლკლორული ანსამბლი მონაწილეობას მიიღებს, ივნისის თვეში ისრაელში დაგეგმილ „მაატაფის“ ყოველწლიურ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში. ასევე მიმდინარე წლის მარტის თვეში, ქ. თელ-ავივში გაიმართა ქართული კულინარიის დღეები და სხვა;

— ქართველ ებრაელთა რეპატრიაცია ისრაელში გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს დაიწყო. ქართველმა ებრაელმა თან წაიღეს საქართველოს, ქართული ცხოვრების წესის დიდი სიყვარული. ქართველ ებრაელთა ამგვარი სულისკვეთება კვლავაც ვლინდება მათს ყოველდღიურობაში, მაგრამ დროს ბევრი რამ მიაქვს თან — ის თაობა თანდათან სტოვებს ცხოვრების ასპარეზს, მოდის ისრაელში დაბადებული და აღზრდილი თაობა, რომლისთვისაც ქართული ყოფიერება მამებისამებრ ორგანული არ არის. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება იმ ქართული ინსტიტუტებისადმი (ქართული თეატრი, გაზეთი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები და სხვ.), რომელიც ბოლო 30-40 წლის განმავლობაში შეიქმნა?

— ფაქტია, რომ თაობები იცვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხვალინდელი დღე გუშინდელისაგან განსხვავებული იქნება. მიუხედავათ ამ რეალობისა, გეთანხმებით, რომ უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა შენარჩუნებულ იქნას ქართული თვითმყოფადობა;

— ისრაელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რას ხედავთ ისეთს, რის გავრცელებასაც თქვენს ქვეყანაში ისურვებდით?

— ალბათ, მოქალაქეობრივი თვითშეგნება, რომელიც სახელმწიფოს წარმატების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

— ბატონო პაატა, ქართული საზოგადოებრიობა თქვენ გიცნობთ, როგორც ორგანიზებულ, დინამიურ პიროვნებას. ეს თქვენს მუშაობაშიც ვლინდება. მადლობას მოგახსენებთ საუბრისათვის და წარმატებას გისურვებთ.

ექსკლუზივი — ისრაელის ელჩი: ირანი ჩრდილოეთ კორეის გზას დაადგება და უახლოეს მომავალში ატომური იარაღი ექნება

08.06.2015

რა გამოწვევების წინაშე დგას ისრაელის სახელმწიფო და შეიცვალა თუ არა ხელისუფლებების შეცვლის შემდეგ საქართველოსა და ისრაელის ურთერთობა? — „ჯი-ეიჩ-ენი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, იუვალ ფუქსთან.

— მოგესალმებით ბატონო ელჩო.

— მოგესალმებით. რამდენი თვეა, ერთმანეთს არ შევხვედრილვართ.

— მთავარია, შევხდით!

— როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, კარგად. თქვენ?

— მეც, ასევე. რაც მთავარია, კარგ განწყობაზე ვარ - ცხელი ზაფხული გვაქვს. თუმცა შიგადაშიგ წვიმაც გვაგრილებს.

— ისე, ისრაელს გაზაფხულიც ცხელი ჰქონდა - პოლიტიკურ ტემპერატურას ვგულისხმობ...

— დიახ, იმდენად ცხელი ზაფხული არ გვაქვს, რამდენადაც ცხელი ზამთარი და გაზაფხული გვქონდა და პოლიტიკური ტემპერატურა ახლანდელზე მაღალი იყო... ისრაელს ახალი კოალიციური მთავრობა ჰყავს, პარლამენტში ახალი პარტიებიც არიან წარმოდგენილნი. უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელ კოალიციაში ზოგიერთი პარტია, რომელიც წინა კოალიციის შემადგენლობაში იყო, აღარაა.

— ახალ მთავრობას მოსახლეობა, როგორც წესი, ახალ იმედებს უკავშირებს, თუმცა, ზოგი იმთავითვე, სკეპტიკურადაა განწყობილი. ისრაელის ახალი ხელისუფლების პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი რა არის?

— ისრაელის პოლიტიკასთან დაკავშირებით ორ რამეს გეტყვით: პირველ რიგში, იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ისრაელმა საარჩევნო პერიოდიდან დღემდე გამოიარა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პოლიტიკა სიურპრიზებითაა სავსე და დემოკრატიის უმთავრესი მახასიათებელიც სწორედ ეს სიურპრიზებია. მეორეც, საქართველოსთან დაკავშირებით ცვლილება არაა. ცვლილებები მხოლოდ ისრაელის კი არა, საქართველოს მთავრობაშიც მოხდა და ახლა, როცა საარჩევნო პოლიტიკური პროცესები დაწყნარებულია, სხვადასხვა სფეროში დაწყებული ურთიერთობის გაღრმავებას უფრო დინამიურად შევუდგებით.

— ბოლო დღეებში ითქვა, რომ ისრაელი მზადაა, პალესტინის ავტონომია აღიაროს. ბატონო ელჩო, „სიურპრიზებში“ ამას გულისხმობთ?

— არა... „სიურპრიზებში“ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს ვგულისხმობდი. მაგალითად, წინასაარჩევნოდ გამოკითხვები ჩატარდა, თუმცა, პროცესები ისე განვითარდა, რომ არჩევნების შედეგები პოლიტიკური ანალიტიკოსებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

— ისრაელის წინასაარჩევნო პერიოდს თვალს მეც ვადევნებდი და მთელი რიგი ტრადიციული პარტიების კოალიციისმიღმა დარჩენა ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ქვეყნის განვითარების კურსი, როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეიცვლება?

— მოდით, ჯერ პალესტინასთან ურთიერთობასა და ისრაელის მხრიდან მისი აღიარების შესაძლებლობას დავუბრუნდეთ. მინდა, ყურადღება რამდენიმე ასპექტზე გავამახვილო, რომელიც ისრაელის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ნეთანიაჰუსაც არაერთხელ აღუნიშნავს. ახლახან, პრემიერი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კომისარ მოგერენის და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერს შეხვდა. შეხვედრებზე აღინიშნა, რომ ისრაელს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ერთი სახელმწიფოს ასრებობის არ სჯერა. ისრაელი მომხრეა, რომ ორმა სახელმწიფომ იარსებოს: ისრაელის სახელმწიფომ, რომელიც ებრაელი ხალხის სახელმწიფოდ იქნება აღიარებული და პალესტინის სახელმწიფომ — პალესტინელების სახლმა. ისრაელი მზადაა, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს, ლაპარაკია პირდაპირ მოლაპარაკებებზე და თუ რამდენიმე პუნქტი იქნება შესრულებული, ორი ქვეყნის არსებობასთან დაკავშირეით გადაწყვეტილება მიღწეული იქნება.

— უფრო კონკრეტულად რომ მითხრათ, რა პუნქტებზეა საუბარი?

— პირველ რიგში, პალესტინა უნდა განიარაღდეს და არ უნდა ჰქონდეს სამხედრო პოტენციალი, რაც ისრაელს საფრთხეს შეუქმნის. მეორე მოთხოვნა ისაა, რომ პალესტინამ უნდა აღიაროს ისრაელი, როგორც ებრაელი ხალხის სახელმწიფო. აუცილებლად მესამე მოთხოვნაც უნდა შესრულდეს - პალესტინამ ისრაელის წინააღმდეგ პოლიტიკური და დიპლომატიური კამპანია უნდა შეწყვიტოს.

— ამ კამპანიაში ფიფა-ში განვითარებულ მოვლენებს გულისხმობთ?

— დიახ, რამდენიმე დღის წინ, პალესტინამ სცადა, ისრაელის ფიფადან გარიცხვის საკითხი დაეყენებინა. ასეთი ქმედება მიუღებელია. წარმოგიდგენიათ, საქართველოს ანალოგიით, რომელიმე თვითაღირებულმა ორგანომ ფიფა-ში საქართველოს საწინააღმდეგო კამპანია რომ წამოიწყოს? ეს საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება. შესაბამისად, ჩვენთვის პალესტინელების ქმედება მიუღებელია.

— მიდგომები, თუნდაც პალეტინასთან დაკავშირებით, ფორმულირებული და ხალხისთვის ზედმიწევნად გასაგებია. ამ ფონზე, მოქალაქეები ახალი ხელისუფლებისგან რას ელიან?

— ისრაელის მოსახლეობა ახალი ხელისუფლებისგან ცვლილებებს ისევე ელოდება, როგორც ეს სხვა ქვეყნების შემთხვევებში ხდება - ძვრები სამშვიდობო პროცესში, უსაფრთხოების საკითხები, განათლების სფეროს განვითარება, ეკონომიური მიღწევების გაუმჯობესება. საქართველოს მსგავსად, ეკონომიკური გამოწვევები ისრაელსაც აქვს. ყველაფერი ეს რომ შევაჯამოთ, ისრაელის მოქალაქეები ახალი მთავრობისგან ყველა მიმართულებით პროგრესს ელიან. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ „ლიკუდსა“ და კოალიციაში შემავალი სხვა პარტიისთვის ხმა ისრაელის ყველა მოქალაქეს არ მიუცია. შესაბამისად, არიან მოქალაქეები, რომლებიც გამარჯვებულ კოალიციას მხარს არ უჭერენ, თუმცა, ეს დემოკრატიის ნაწილია.

ასევე, კარგად გვესმის, რომ ისრაელისთვის ნომერ პირველი ამოცანა მაინც უსაფრთხოება და სამშვიდობო პროცესია, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და განვითარება სხვა სფეროებშიც გვინდა.

— ბატონო ელჩო, მართალია, ხაზს უსაფრთხოებას უსვამთ, მაგრამ ისრაელის სახელმწიფო, პალესტინასთან სამშვიდობო პროცესის პარალელურად, მსოფლიოს ღიად ეუბნება, რომ კიდევ არაერთი საფრთხე არსებობს, რომელიც პრობლემებს მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოს კი არა, რეგიონალურ უსაფრთხოებასაც უქმნის...

— დიახ, ისრაელისთვის უსაფრთხოება ყველაზე ცხელი თემაა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური არჩევნების წინა პერიოდში, ან არჩევნების დროს ხდება. ყველა პარტია იზიარებს მოსაზრებას, რომ უსაფრთხოება ეგზისტენციალური საკითხია, თუმცა, მათთვის უსაფრთხოების მიღწევის გზები განსხვავებულია. მოცემულ მომენტში, ისრაელს, სულ მცირე, სამი გამოწვევა აქვს: უპირველესი გამოწვევა ის ტერორისტული ორგანიზაციებია, რომლებიც ისრაელის

საზღვრის მთელს პერიმეტრზე მოქმედებენ, მხედველობაში მაქვს „ჰამასი“, „ჰესბოლა“ თუ სხვა ორგანიზაციები. აქვე, შეგახსენებთ: 2009-2012-2014 წლებში, ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით ათასობით ჭურვი იქნა გამოტყორცნილი. 2006 წელს ეს ჩრდილოეთიდან მოხდა, 2009-2012-2014-ში კი, - ღაზას სექტორიდან. სასაზღვრო ზოლის გასწვრივ, ასევე, „ალ ქაიდა“ და სხვა დაჯგუფებებიც მოქმედებენ. ისინი გამოწვევას მხოლოდ ისრაელისთვის კი არა, ისრაელის მეზობლებისთვისაც წარმოადგენენ. შედარებისთვის ვიტყვი: 2008 წლის საქართველოს ომის ანალოგიურ სიტუაციაში ისრაელი უკვე სამჯერ იმყოფებოდა და ეს კონფლიქტი აგვისტოს 5-დღიან ომზე დიდხანს გაგრძელდა. ამ ვითარებაში დაბრუნება, რასაკვირველია, არ გვინდა და ამ ვითარების გაუმჯობესებას სწორედ ამ ხელისუფლებისგან ველოდებით.

მეორე გამოწვევა კი, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებია.

— ***სირიაში მიმდინარე მოვლენებს გულისხმობთ?***

— დიახ, სირიასა და ერაყში. კარგად მოგეხსენებათ, იქ, რაც ხდება. არაერთხელ აღმინიშნავს და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს სახელმწიფოები საქართველოსგან არც თუ შორს მდებარეობენ. ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს თვალს ვადევნებთ და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, რადგან სიტუაცია აბსოლუტურად არასტაბილურია.

— ***გეთანხმებით. ახლო აღმოსავლეთის ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენები, დიდ საფრთხესთან ერთად, ნებისმიერი გონიერი ადამიანისთვის დიდი ტკივილის მატარებელიცაა... მესამე გამოწვევაზე რას იტყვით?***

— მესამე გამოწვევა ირანია, რომელიც ხელმოწერილი შეთანხმების მიუხედავად, ატომურ პროგრამას მაინც ანვითარებს. ისრაელს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს კარგი შეთანხმება არ არის და არც ფუნქციონალური იქნება, რადგან სანქციების გაუქმებით, ირანს შესაძლებლობა მიეცემა, ფრთები უფრო მეტად გაშალოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ირანი ტერორისტულ ორგანიზაციებს ამარაგებს და ამასთან, დასავლეთის წინააღმდეგ კიბერშეტევებსაც აწარმოებს. ირანი ისრაელს სიმსივნეს უწოდებს და სხვა თუ არაფერი, ირანი, რომელიც ტრადიციული იარაღითაა შეიაღარებული, საშიშია და იმის წარმოდგენაც კი რთულია, თუ ატომური იარაღი ექნება, რა შეუძლია. ირანი რეგიონზე, ყველანაირ ასპექტში, დამანგრეველ გავლენას ახდენს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ იემენში, სირიასა, თუ სხვა სახელმწიფოებში ისრაელზე არანაკლებ არიან შეშფოთებულნი და ირანს არანაკლებ საფრთხედ მიიჩნევენ.

— ***მიუხედავად ამისა, ექვსეული ჩარჩო ხელშეკრულების მიღებას მაინც დათანხმდა.***

— ლოზანას ხელშეკრულებით, რომელიც ჯერ კიდევ შეთანხმების პროცესშია, ირანი ჩრდილოეთ კორეის გზას დაადგება და ინსპექციების მიუხედავად, უახლოეს მომავალში, ატომური იარაღი ექნება.

— ***დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. თქვენ საფრთხეებზე მიუთითებთ, ექვსეული კი, რეალურად, სხვა რამეზე თანმხდება. ამის მიზეზი რა არის?***

— დიახ, ჩარჩო ხელშეკრულებაზე თანხმობა გამოცხადებულია და მუშაობა დეტალებზე მიდის. ისრაელს მიაჩნია, რომ ეს იქნება დამანგრეველი შეთანხმება, რომელიც იქამდე მიგვიყვანს, რომ ირანი მეორე ჩრდილოეთ კორეად გადაიქცეს. შემიძლია გითხრათ, რომ ირანის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებული ისრაელის შიში რეალურია და ამ მოსაზრებას ისრაელის მთელი პოლიტიკური სპექტრი, მათ შორის, ოპოზიციაც იზიარებს.

ისრაელსა და საქართველოს შორის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

იერუსალიმში, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა „ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 2015-2018 წლებისთვის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ პროგრამის ხელმოწერა, — აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

პროგრამას ისრაელის მხრიდან ხელი მოაწერა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილემ, რაფაელ გამზუმ, ხოლო საქართველოს მხრიდან საქართველოს ელჩმა ისრაელის სახელმწიფოში პაატა კალანდაძემ.

სამინისტროში განმარტავენ, რომ პროგრამის მიზანია განათლების, მეცნიერებისა და სპორტის დარგებში ორმხრივი ურთიერთობებისა და ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავება. ხელმოწერის ცერემონიაზე მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა თავის წვლილს შეიტანს ხალხთა შორის ურთიერთობის განვითარებისა და ორი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლების საქმეში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

— ***საუბარი ძალიან დაგვიმძიმდა...***

— მესმის, მაგრამ ეს რეალობაა.

— ***ისიც რეალობაა, რომ საქართველოში ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობა იზრდება: ბოლო ოთხი წელია, ჩემს მეგობრებს ვმასპინძლობ. წელს, 26 მაისსაც ჩამოვიდნენ, ანუ საქართველო ისრაელისთვის, ტურისტული თვალსაზრისით, საინტერესო ქვეყანა გახდა, არა?***

— დიახ, სწორად აღნიშნეთ. საქართველოში ისრაელის ტურისტების რაოდენობა ყველწლიურად იზრდება - 8,5 მილიონიანი ქვეყანა საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობით, უკვე ათეულში შედის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეებს ისრაელში ვიზა არ სჭირდებათ და ერთი წლის განმავლობაში, საქართველოდან ისრაელში ჩასულთა რაოდენობა გაორმაგდა.

ტურიზმის გარდა, საკმაოდ კარგი ურთიერთობები გვაქვს სოფლის მეურნეობის სფეროში - რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ასევე, პორექტები ხორციელდება რეგიონებში. მხედველობაში მაქვს ტრენინგები, ფერმერთა გადამზადება, კონსულტაციები... რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კულტურული ურთიერთობებიც - ამჟამად მიმდინარე სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ჩვენი ფილმიცაა წარმოდგენილი.

— ***ჩვენს კულტურილ და, გნებავთ, ეკონომიკურ ურთიერთობაზე საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, მაგრამ ბატონო ელჩო, ინტერვიუს მნიშვნელოვანი ნაწილი უსაფრთხოებას დაუთმეთ, რაც საქართველოსთვისაც, ასევე, უმნიშვნელოვანესია. მესმის, არის საკითხები, რაზეც ღიად ვერ ილაპარაკებთ, მაგრამ როგორია უსაფრთხების სფეროში საქართველოსა და ისრაელის თანამშრომლობა?***

— უსაფრთხოება საკმაოდ ფართო ცნებაა და ტაბუ, რომელზეც ისრაელისა და საქართველოს წარმომადგენლებს ლაპარაკი არ შეგვიძლია, ერთ პუნქტშიც არ არსებობს. ახლახან, ამ თემაზე პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილსა და თავდაცვის მინისტრს, ქალბატონ თინა ხიდაშელს შევხვდით. ასევე, გვაქვს შეხვედრები საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში. ცალკეული ფორმატები, რომელზეც მოლაპარაკებები გვქონდა, უკვე საქმიანში გადადის. გვყავს სამუშაო ჯგუფი და სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებთან აქტიურ ტრენინგებს ვატარებთ.

— ***როგორ აფასებთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, თუნდაც წინა ხელისუფლების ფონზე? საქართველოში ცხოვრება შეიცვალა?***

— საქართველოში 2012 წლის აგვისტოში ჩამოვედი. მოგეხსენებათ 1-ელ ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა და მოღვაწეობა, პრაქტიკულად, ახალი ხელისუფლების პირობებში მიწევს. ძალიან მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია, რომ ამ ხნის განმავლობაში სამი არჩევნები ჩატარდა და სამივემ, დემოკრატიის თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო. საქართველოს წინსვლა, ცალკეულ საკითებთან დაკავშირებით, რიგის სამიტზეც დაფიქსირდა. რაც შეეხება დემოკრატიულ განვითარებას, ეს აშკარად შესამჩნევია.

— ***თუმცა, ოპოზიცია პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს, დაკავებულნი არიან ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დედაქალაქის მერი. სისხლის სამართლის საქმეა აღძრული პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ. ამ საკითხის თქვენეული შეფასება როგორია?***

— ამ მიმართულებით შეფასების გაკეთება ჩემი საქმე არაა. საქართველო ერთადერთი უნიკალური ქვეყანა არ არის, სადაც ყოფილ ან მოქმედ პოლიტიკოსებს კანონის წინაშე წარდგომა უწევთ. ასეთი რამ სხვა ქვეყნებშიც მომხდარა და ხდება.

— ***მაგალითად, თქვენს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ახლახან პატიმრობა მიესაჯა.***

— დიახ და ეს საქმეები კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებს სრული დაცვით უნდა იყოს წარმართული. ეს პროცესი აუცილებლად გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ ყველამ ნახოს, სინამდვილეში რა ხდება. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: არ მგონია, ამ პროცესის უკეთესი შემფასებელი ვიყო, ვიდრე საქართველოს თითოეული მოქალაქეა!

— ***შესაშურად დიპლომატიური პასუხია. დიდი მადლობა, ბატონო ელჩო, საინტერესო საუბრისთვის. მოხარული ვიქნები, თუკი ჩვენი უერთიერთობა და მეგობრობა კვლავაც გაგრძელდება.***

— მადლობა, თქვენთან შესახვედრად ყოველთვის მზად ვარ.

„ჯი-ეიჩ-ენი“,
ესაუბრა გოჩა მირცხულავა

„ხესედ ელიაჰუ“ — საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი

გაზეთი „მენორა“-ს კორესპონდენტი საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის - „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორს ბატონ რევაზ შათაშვილს, ცენტრის ისტორიასა და საქმიანობაზე ესაუბრა,.

— ბატონო რევაზ, დიდი ხანია „მენორას“ მკითხველს არ გასაუბრებიხართ. ამიტომ იქნებ შორიდან დავიწყოთ? როგორ დაარსდა „ხესედ ელიაჰუ“, როგორი იყო მისი მუშაობა წარსულში?

— „ხესედ ელიაჰუ“ დაარსდა 1997 წლის 3 მარტს ამერიკელ ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯოინთი“-სა და როხლინის ფონდის მხარდაჭერით.

ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დაახლოებით 180-მდე ხესედი ფუნქციონირებს. “ხესედი“ ნიშნავს გულმოწყალებას და მართლაც ეს ორგანიზაციები ძალიან დიდ და კეთილ საქველმოქმედო საქმეებს ეწევიან.

მოგახსენებთ თუ რას და რატომ: გავიხსენოთ 1997- 2000-იანი წლები. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს იყო წლები, როდესაც საქართველოში მოსახლეობას ძალიან გაუჭირდა. რა თქმა უნდა ჩვენი თემი გამონაკლისი არ იყო. ამ წლებში განსაკუთრებით დაიჩაგრნენ ასაკოვანი ადამიანები, მათ ისეთი დაბალი პენსიები ჰქონდათ, რომლითაც ცხოვრება პრაქტიკულად შეუძლებელი, არარეალური იყო. ამ პერიოდში ძალიან დიდი ალია იყო ისრაელში, თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველოშიც დარჩნენ ებრაელები, რომლებსაც სჭირდებოდათ მიხედვა და მინიმალური დახმარება არსებობისათვის. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეს ორგანიზაცია.

რასაკვირველია, ვერც ერთი ორგანიზაცია, მითუმეტეს საქველმოქმედო ორგანიზაცია, ვერ იფუნქციონირებს, თუ მას არ აქვს დაფინანსება. ჩვენი ცენტრის საქმიანობას აფინანსებს ამერიკელ ებრაელთა გაერთიანებული, გამავრცელებელი კომიტეტი „ჯოინთი“.

სხვა რესპუბლიკებში, სადაც ბევრნი არიან ძლიერი და მდიდარი ოლიგარქები, ისინი ეხმარებიან ებრაულ თემს, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში ჩვენ მსგავსი შესაძლებლობა არ გაგვაჩნია

თავდაპირველად, როდესაც ხესედი გაიხსნა ეს ყველაფერი ხდებოდა არა ამ შენობაში (სადაც ამჟამად ებრაული სახლია და სადაც დღეს ფუნქციონირებს „ხესედი ელიაჰუ“), არამედ ეს იყო პატარა კერძო სახლი , წინამძღვრიშვილის (ყოფილი ორჯონიკიძის) ქუჩაზე, პატარა ეზოთი, სადაც ჩვენი ორგანიზაციის წევრები მოდიოდნენ და მთელ დღეს იქ ატარებდნენ.

„ხესედ ელიაჰუს“ გახსნისას აღრიცხვაზე იყო 650-700-მდე სამეურვეო პირი. პირველი დახმარება, რითაც ჩვენ დავიწყეთ, იყო სასურსათო პროგრამა. ამ პროგრამაში შედიოდა სასადილო , რომელიც კვებავდა დღეში 200-250 -მდე სამეურვეო პირს, სასურსათო ამანათების გაცემა და ასევე ცხელი სადილის მიწოდება ბინაზე.

ფუნქციონირებდა პროგრამა მედიცინა, რომლის დახმარებითაც სამეურვეო პირებს საჭიროების მიხედვით, უფასოდ ურიგდებოდათ მედიკამენტები, უტარდებოდათ სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება და კონსულტაციები.

ფუნქციონირებდა პროგრამა „ბინაზე მოვლა“ და პროგრამა „კლუბი“, რომელიც მორალურ საზრდოს აძლევდა მათ, მარტოობისა და გაჭირვების გადალახვაში ეხმარებოდა.

ეს იყო ეტაპი, როდესაც ამ ორგანიზაციამ ბევრის სიცოცხლე გადაარჩინა და ეს ნამდვილად არ არის ხმამაღალი სიტყვები.

ჩვენმა ყოფილმა მთავარმა რაბინმა არიელ ლევინმა, თავის დროზე თქვა: „რაც თბილისში გაიხსნა „ხესედი ელიაჰუ“, არც ერთი ებრაელი არ გარდაცვლილა შიმშილით“. ასეთი იყო „ხესედების“ ჩამოყალიბების ძირითადი არსი, იმ დროს ეს ძალზე საჭირო და აუცილებელი იყო . ასე გავატარეთ მძიმე წლები 2003 წლამდე.

გავიდა დრო პროგრამები მუშაობდნენ და ხესედის წევრთა რიცხვი 750 დან 1400 მდე გაიზარდა. ამერიკაში მცხოვრებმა მეცენატმა, ქალაქ პიტსბურგიდან, ჰერნი პოზნერმა, მოისურვა, რომ ყოფილი დსთ-ს ქვეყნების ზოგიერთ ქალაქში შეესყიდა შენობები, რათა ებრაულ თემს ჰქონოდა საკუთარი სახლი. მათ შორის ერთ-ერთი ქალაქი იყო თბილისი. მოიძებნა ეს შენობა, რომელიც შეისყიდეს „ჯოინთის“ ეგიდით. გათვალიწინებული იყო ისიც, რომ შენობა უნდა ყოფილიყო მისადგომად მოსახერხებელი და მასში „ჯოინთის“ მიერ ფინანსირებული ყველა ებრაული ორგანიზაცია უნდა განთავსებულიყო. მინდა გითხრათ, რომ ამჟამად შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და მომავალ წელს აქაურობას ნახავთ სრულიად სხვაგვარად გაბრწყინებულს.

2003 წელს, ყველა ებრაული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა „ჯოინთის“ ეგიდით, გადმოვიდა ამ შენობაში, „ხესედ ელიაჰუს“ გადაეცა პირველი და მეორე სართული, მესამე სართულზე განთავსდა კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი, მეოთხეზე — ბავშვთა პროგრამები, იქვე არის პროფესორ ლული შათაშვილის სახელობის ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრი კავკასიის ქვეყნების ებრაული თემებისათვის, სადაც ჩვენს თანამშრომლებს აქვთ საშუალება აიმაღლონ კვალიფიკაცია, სადაც ეწყობა სემინარები და ტრენინგები.

ამ შენობაში გადმოსვლის შემდეგ, ჩვენ ბევრად უკეთეს პირობებში ვართ და შესაბამისად ჩვენი დახმარებაც უფრო ეფექტური, კომფორტული გახდა ჩვენი წევრებისათვის. ჩვენ აქ გვაქვს სასადილო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, გვაქვს ბავშვთა სათამაშო დარბაზი, ულამაზესი ეზო, დიდი სააქტო დარბაზი, სადაც კლუბ 26 საუკუნის ეგიდით ჩვენი თემი იკრიბება და იმართება ძალიან ბევრი შეხვედრა, ეწყობა პოეზიის საღამოები, აღინიშნება ებრაული დღესასწაულები.

ამ დიდ სახლში „ხესედს“ დაკავებული აქვს 2 სართული, სადაც მუშაობს 10 პროგრამა.

— რამდენი ადამიანია აღრიცხვაზე და როგორია შერჩევის კრიტერიუმები?

— დღესდღეობით „ხესედში“ აღრიცხვაზე არის 1300 სამეურნეო პირი და 550 ბავშვი. 1400 -მდე ადამიანი სტაბილურად იღებს დახმარებას ხესედიდან. გამომდინარე იქედან, რომ „ჯოინთი“ ძალიან დემოკრატიული ორგანიზაციაა, ჩვენ ვეხმარებით არა მხოლოდ ებრაელებს , არამედ ებრაელის ოჯახის არა ებრაელ წევრებსაც, რომლებიც ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც ებრაელები. თოთოეულ მათგანთან გაფორმებულია კონტრაქტი და ისინი ჩვენ კონტრაქტორებს წარმოადგენენ. გვაქვს საინფორმაციო სამსახური - მონაცემთა ბაზა , სადაც აღირიცხება ყველაფერი მათ შესახებ.

ბუღალტერია უკვე დიდი ხანია მუშაობს თანამედროვე ბუღალტრული პროგრამებით. თქვენ ალბათ, გიჩნდებათ კითხვა: რა თანხა იხარჯება თოთოეულ სამეურვეო პირზე? ეს თანხა, არის თუ არა საკმარისი? ამ კითხვაზე ჩემი პასუხი ყოველთვის ამგვარია: „ჩვენ გვესმის რომ ჭირდებათ მეტი, მაგრამ ჩვენ გავცემთ მხოლოდ იმას, რისი შესაძლებლობაც გვაქვს“. ვერცერთი საქველმოქმედო ორგანიზაცია ვერ შეცვლის იმ ზრუნვას, რაც მოქალაქეებმა სახელმწიფო სტრუქტურებიდან უნდა მიიღონ, ჩვენ მხოლოდ დამატებით ვეხმარებით მათ.

— ცენტრის დღევანდელ საქმიანობაზე გვესაუბრეთ, ახსენეთ 10 პროგრამა, რას გულისხმობს თითოეული მათგანი?

— შევეცდები ძალიან მოკლედ გვიამბოთ თითოეულის შესახებ.

პირველ სართულზე არის **დღის ცენტრი, „თბილი სახლი“**. ეს პროგრამა ძალიან პოპულარული და საინტერესოა. სულ 5 ჯგუფია, თითოეულ მათგანში 12 სამეურვეო პირია. გვყავს კომფორტული მიკროავტობუსი, რომლითაც ბინაზე ვაკითხავთ დღის ცენტრის წევრებს და მოგვყავს ისინი ხესედში, რადგან მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენს ნიშნავს ეს პროგრამა, იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ სახლიდან გამოსვლა და სამყაროს უყურებს მხოლოდ ფანჯრებიდან. აქ ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ, დაკავებულნი არიან სხვადასხვა სახის ხელსაქმით, მათ ცენტრში აქვთ ყველანაირი ტექნიკა: ტელევიზორი, მაგნიტოფონი და ა. შ. აქვთ შუადღის მსუბუქი საუზმე. ყურადღება, სითბო, ურთიერთობები და დღის ბოლოს იმავე ტრანსპორტით მიგვყავს სახლებში. ეს ღირსეული და დამსახურებული ადამიანები, მთელი კვირა ელოდებიან იმ ერთ დღეს, როდესაც აქ მოდიან, წესრიგდებიან, ლამაზდებიან და სიხარულით მოიჩქარიან ხესედში, რადგან სწორედ ასეთი გარემო უხანგრძლივებთ მათ სიცოცხლეს.

ხესედს მათგან აქვს ასობით ძალიან თბილი და გულისამაჩუყებელი სამადლობელი წერილი და შემიძლია წარმოგიდგინოთ ამონარიდები ზოგიერთი მათგანიდან (სტილი დაცულია):

„არ ვიცი, არსებობს თუ არა ქვეყანაზე სიტყვები, რომლებითაც შეიძლება გადმოვცეთ ის გრძნობა, რომელიც მე და ჩემს მეუღლეს თქვენი ორგანიზაციის მიმართ გაგვაჩნია. თქვენი ორგანიზაცია უკვე რამდენი წელია გვაძლევს ამ რთულ სიტუაციაში ცხოვრების საშუალებას და თქვენ ამას აკეთებთ ისეთი გულისხმიერებით და ფაქიზად , რომ ეს დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ იმის ეტალონად, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი სხვა ადამიანების მიმართ.დიდი მადლობა თქვენ, იცოცხლეთ დიდხანს და იყავით ჯანმრთელნი ჩვენდა სასიკეთოდ“.

ირინა კვარაცხელია

ბატონო რევაზ, თქვენ წლების მანძილზე რუდუნებით უდგეხართ სათავეში ორგანიზაციას, რომლის გამუდმებული საზრუნავი უპირველესად უბედურებაში, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები არიან. თქვენ, თქვენი საქველმოქმედო საქმიანობით, უდიდეს საქმეს აკეთებთ, რათა შეუმსუბუქოთ ჩვენს მუდამ დევნაში მყოფ ერის წარმომადგენლებს მორალური თუ ეკონომიური განსაცდელი.

თქვენ ორგანიზაციასთან ურთიერთობით უფრო პოზიტიური ვხდები, ვაცნობიერებ რომ ცხოვრებაში მარტო არ ვარ, რომ უამრავი კეთილი ადამიანი ჩემს გვერდითაა, თანამიგრძნობს ჩემს მძიმე ყოფას. თქვენ ნამდვილ ადამიანურ ფასეულობებს ქმნით ბატონო რევაზ და არ ემსახურებით ფსევდოღირებულებებს...

ეს წერილი არის ჩემი მოკრძალებული მცდელობა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ, ჩემი თანადგომისათვის და გისურვოთ დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე და შრომის უნარი.

მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ თქვენი მსგავსი ადამიანები და არსებობს ჩვენი მოყვასის სიყვარული, რომელიც გვაერთიანებს.

უღრმესი პატივისცემით
ლუბა ნიკოლაიშვილი

ბატონო რეზო, უპრეცენდენტოა მსოფლიოში ებრაელთა თანადგომა, რასაც თქვენი ორგანიზაცია აკეთებს. მე ბედნიერი ვარ, რომ მეძლევა საშუალება მოგეფეროთ და გადაგიხადოთ მადლობა ებრაელ ერს თქვენ რომ არსებობთ... თქვენ ხომ თანადგომა და დახმარება გენში გაქვთ გამჯდარი.

პატივისცემით
ნინო მუსაშვილი

მადლობის წერილი

მინდა დიდი, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ ყველაფრისათვის, რასაც თქვენ გვეხმარებით. რომ არა თქვენი დახმარება, არ ვიცი როგორ გავიტანდი თავს. დაწყებული პროდუქტით, ქიმიური საშუალებებით, ჩასაცმელით, თეთრეულით, საბნებით და ელექტროენერგიაზე ჩარიცხული თანხით.

ღმერთმა გაგახაროთ და გაგაძლიეროთ.

პატივისცემით
ანნა თანდაშვილი

და კიდევ მრავალი სხვა.

შემდეგი პროგრამაა **„კვების პროგრამა“**, თუმცა დღესდღეობით ჩვენ კვება სასადილოში აღარ გვაქვს, რადგან აღარაა ამის მოთხოვნილება. ჩვენი ორგანიზაციის წევრს, რომელიც მოგვმართავს და გვეუბნება რომ აქვს მატერიალური პრობლემა და სჭირდება პროდუქტებით დახმარება, ეძლევა „პროკრედიტ ბანკის“ საბანკო ბარათი და ამ ბარათზე ყოველთვიურად ვურიცხავთ გარკვეულ თანხას, კატეგორიების მიხედვით. ჩვენ გვაქვს

(დასასრული მე-7 გვერდზე)

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?
რაბინის კუთხე

შიმონ წიწუაშვილი

მირიამის სიკვდილი და ჭის გაქრობა

უდაბნოში ხეტიალის მეორმოცე წლის ათ ნისანს მოხდა ნეციონალური მასშტაბის ტრაგედია. როდესაც ებრაელები მივიდნენ უდაბნოში საცელად „ცინ“ გარდაიცვალა მოშეს და მირიამი ის იყო ასოცდახუთი წლის, მირიამი ასწავლისა და ხელმძღვანელობდა ქალბატონებს მოშესა და აჰარონის მსგავსად, რომლებიც მამაკაცებს უძღვებოდნენ.ის იყო შვიდი ცნობილი წინასწარმეტყველთაგან ერთერთი.მირიამი გარდაიცვალა ტკივილისა და ტანჯვის გარეშე, შეხინა რომელიც მის წინ გაჩნდა წაიყვანა მისი სული. მირიამის სიკვდილის შესახებ მოთხრობილია წითელ ძროხასთან დაკავშირებული წესების შემდეგ მიუხედავად იმისა რომ, მირიამი გარდაიცვალა უდაბნოში ხეტიალის მეორმოცე წელს ხოლო წითელი ძროხა დაწევეს მეორე წელს.თორა წმინდანის სიკვდილს და წითელ ძროხას ადარებს ერთმანეთს რამეთუ წმინდანის სიკვდილს შეუძლია გამოირყიდოს ხალხის ცოდვა ცოდვა, ისევე, როგორც წითელ ძროხას.

როგორც კი მირიამი გარდაიცვალა, ჰაშემმა დროებით გააქრო ჭა, რომელიც ებრაელ ხალხს თან დაყვებოდა უდაბნოში მოგზაურობის დროს, რათა ებრაელებს გაეგოთ, რომ ჭა ივსებოდა მირიამის დამსახურებით და ეგლოვათ მისი გარდაცვალება.

სამი დიდი ლიდერის დამსახურებით ებრაელიბმა მიიღს სამი სახის საჩუქარი

მიფიამის დამსახურებით მიიღს - ჭა

აჰარონის დამსახურებით მიიღეს - დიდების ღრუბელი

მოშეს დამსახურებით მიიღს - მანი

რის გამო დაამადლიანა სამმა ლიდერმა ერი ამ საჩუქრებს? ისინი განასახიერებდნენ ბოძს, რომელზეც იდგა სამყარო, თორა, მსახურება და კეთილი საქმეები.

მირიამმა თავისი თავი ბავშვობიდანვე მიუძღვნა თავის ერს, ის სულ პატარა იყო, როდესაც ეხმარებოდა დედამისს, როგორც ბებიაქალი და საჭმელი მიქონდა გაჭირვებულთათვის. მისი გულკეთილობის წყალობით ებრაელები დამადლიანდნენ წყალზე. როგორ მიიღეს ებრაელებმა წყალი მირიამის ჭიდან? წყალი ყოველთვის ჩნდებოდა ხალხის გვერდით ამაღლებულ ადგილას, მიშქანში შესასვლელის პირდაპირ, ჭასთან მიდიოდნენ მუხლების წინამძღოლები და ნიშნავდნენ გზას თავიანთ ბანაკამდე. წყალი მიუყვებოდა თორმეტ ხაზს, იქცეოდა მდინარეებად და გზაზე მაშინვე ყვავდებოდა ლეღვი, ყურძენი, ბროწეული. მირიამის გარდაცვალების შემდეგ კი ჭა უეცრად გაქრა და დასალევი წყლის გარეშე დარჩენილი ებრაელები აღმოჩნდნენ ცუდ მდგომარეობაში.

დავით ხუბელაშვილის ხსოვნას



ისრაელის ქართველმა ებრაელობამ დაჰკარგა ღვაწლმოსილი პიროვნება — გარდაიცვალა მსახიობი, რეჟისორი, მოცეკვავე დავით ხუბელაშვილი.

დავით ხუბელაშვილმა დიდი რვაწლი დასდო ისრაელში ქართულენოვანი თეატრის დაფუძნებისა და არსებობის საქმეს — იგი ჯერ ჩრდილოეთის ოლქის ქართული თეატრში მოღვაწეობდა, შემდეგ ხოლონში შექმნა გერცელ ბააზოვის სახელობის დრამატული თეატრი. აქ იგი დგამდა ქართველ ავტორთა პიესებს, თავისი დეკლამაციით ეწეოდა ისრაელის ქართველ ებრაელთა პოეზიის დეკლამაციას. შთამბეჭდავი გახლდათ მის მიერ სცენიდან არაერთგზის წაკითხული სიმხა ადარის „რა ხალხი ვყოფილვართ!“ ერთხანს გვერდით ედგა ხაიმ ხუბელაშვილს ჟურნალ „დროშის“ სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. ერთი სიტყვით, ყოველთვის აკეთებდა ისრაელის ქართველი ებრაელობისათვის საჭირო საქმეს.

დავით ხუბელაშვილმა სიცოცხლის ბოლო წლებში გამოსცა წიგნი,რომელშიც ასახულია მისი თეატრალური მოღვაწეობა და ფაქტიურად გახლავთ ისრაელში ქართული თეატრის დაარსების ისტორია.

ვეთხოვებით რა ჩვენს მეგობარს, ღ-თს ვევედრებით გან ედენში დააბრძანოს მისი სული.

შალომ დავიდი, რეუვენ ენოხი, გურამ ბათიაშვილი

ლეა და შალომ დავიდები, ინგა და რეუვენ ენოხები, ციალა და გურამ ბათიაშვილები გამოსთქვამენ რა ღრმა მწუხარებას

დავით ხუბელაშვილის

გარდაცვალების გამო, თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გარკვეული გრადაციები, ვინ ცხოვრობს ოჯახში, ვინ სრულიად მარტოხელაა და ა. შ. ბარათზე დარიცხული თანხა, შეუძლიათ გამოიყენონ სუპრმარკეტების ქსელში „ფრესკო“ და „ნიკორა“, ასევე „ქაშერ“ მაღაზიაში, რომელიც განთავსებულია სალოცავში და რომლებთანაც გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები. ვითვალისწინებთ ასევე ქსელური მაღაზიების ფილიალების სიხშირესა და განლაგებას. ამ პროგრამაში ჩართულია 1200 სამეურვეო პირი და 190 ბავშვი, როგორც თბილისში ასევე რუსთავში. კვების პროგრამის ნაწილია გარკვეული კატეგორიის სამეურვეო პირებისათვის ცხელი სადილის ბინაზე მიტანა (შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის ყოველდღიურად ბინაზე მიგვაქვს ცხელი სადილი). რეგიონებში მცხოვრებლებისათვის გვაქვს ასევე კვების პროგრამაში შემავალი ე.წ. „შეკვეთის მაგიდა“, რომლის მეშვეობით მათ მიერ შეკვეთილი პროდუქტების ამანათები ურიგდებათ რაიონებსა და სოფლებში.

შემდეგია პროგრამა **„აფთიაქი“**. ჩვენ უანგაროდ გავცემდით საჭირო მედიკამენტებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედიკამენტები გაიცემოდა ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე. ადრე ვაძლევდით ვაუჩერს, პიროვნება მიდიოდა კონკრეტულ აფთიაქში, რომელთანაც გაფორმებული გვქონდა ხელშეკრულება და იღებდა ფიქსირებული თანხის მედიკამენტს. ესეც შევცვალეთ და ამჟამად ის თანხა, რომელიც პროგრამა „აფთიაქის“ ფარგლებში ვაუჩერის სახით ეძლეოდა წევრს, ირიცხება საბანკო ბარათზე, რაც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ბარათზე დარიცხული მთელი თანხა მოიხმაროს თავისი საჭიროებისამებრ, შეუძლია შეიძინოს როგორც პროდუქტი , ასევე მედიკამენტი.

იმ სამეურვეო პირებისათვის, რომლსაც სჭირდებათ, ოპერაციის შემდგომი მკურნალობა, ძვირადღირებული მედიკამენტები, გვაქვს **ექსტრემალური დახმარების პროგრამა** (შშ). ამ შემთხვევაში ხესედის წევრი მოდის ჩვენთან, მოაქვს ფორმა №100, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ კომისიაზე და ჩვენი შესაძლებლობებიდან გამონდინარე ვუწევთ დახმარებას. ეს პროგრამა განიხილავს ასევე საოპერაციო თანხებსაც .

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ ძალიან კარგი რამ გააკეთა, როდესაც განახორციელა პროექტი საყოველთაო დაზღვევა და საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია ამით ისარგებლოს.

შემდეგია პროგრამა **„სარეაბილიტაციო აღჭურვილობა“**, რომლითაც ვეხმარებით „ხესედის“ წევრებს რეაბილიტაციის პერიოდში. აღჭურვილობა მოიცავს ეტლებს, სპეციალურ ლეიბებს, ხელჯოხებს და ა.შ. გაცემულია დაახლოებოთ 350 დასახელების ინვენტარი.

ყველაზე დიდი პროგრამაა **„ბინაზე მოვლა“**. აღრიცხვაზე აყვანილი გვყავს 140 სამეურნეო პირი, რომლთაც სჭირდებათ მომვლელები და თვითონ არ შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა. მათ ემსახურება 45 ქალბატონი, რომლებიც უწევენ ბინაზე სხვადასხვა სახის დახმარებას.

გვაქვს **კულტურული პროგრამებიც**, ჩვენი კლუბის კარები ყველასათვის ღიაა, კლუბში არის სამაგიდო თამაშები, მუსიკალური სალონი, ტარდება სადღესასწაულო ღონისძიებები, ფსიქოლოგიური ტრენინგები, კაბალათ შაბათი, პოპულარული ფილმების ჩვენება და საერთოდ ვცდილობთ ებრაული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გაღრმავებას თითოეულ ჩვენ სამეურვეო პირთან.

არ შემიძლია არ აღვნიშნო **კურატორების სამსახური**. თბილისი დაყოფილი გვაქვს 4 დიდ სექტორად. თითოეულ სექტორს ჰყავს თავისი კურატორი, რომლებიც მეთვალყურეობას და ზედამხედველობას უწევენ თავიანთ სექტორში მცხოვრებ ჩვენს სამეურნეო პირებს. გებულობენ რა სახის დახმარებას საჭიროებენ ისინი და აცნობენ ხესედის შესაძლებლობებსა და სიახლეებს.

პროგრამა **„მოკედი“** ჩვენ სამეურვეო პირებს მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში ემსახურება. გვყავს რამდენიმე მოხალისე, რომლებიც ეხმარებიან ჩვენ წევრებს საკეტების, ონკანების, ელექტრო ტექნიკის შეკეთებაში. საჭიროების შემთვევაში ხდება საყოფაცხოვრებო და აუცილებელი ნივთების შეძენაც, იმ შემთხვევაში თუ არსებული არ ექვემდებარება შეკეთებას.

მსურს ცალკე გამოვყო პროგრამა **„ბავშვთა ინიციატივა“**, რომელშიც ჩართულნი არიან ბავშვები დაბადებიდან 16 წლამდე. 6 წლამდე ასაკის ბავშვები გაერთიანებულნი არიან პროგრამაში „მაზალ ტოვ“, სადაც მათ ურიგდებათ ბავშვთა კვება, პამპერსები, სხვადასხვა ნივთები ახალშობილებისთვის. მოზრდილებისთვის კი არის სხვადასხვა წრეები, რომელიც ფაქტიურად მოიცავს ინტერესის ყველა სფეროს, არის საგანმანათლებლო წრეები, ხორციელდება ტურები ბუნებაში, ეწყობა ექსკურსიები და გასვლითი საზაფხულო ბანაკები. ბავშვების გარკვეული ნაწილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაწილეობს კვების პროგრამაში და როგორც ჩვენ სამეურვეო პირებს, მათაც აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ კვების პროდუქტები საბანკო ბარათების მეშვეობით.

დღეისათვის ხესედი აგრძელებს მუშაობას თავისი პროგრამების მეშვეობით და ცდილობს დაეხმაროს ჩვენი თემის ყველა წევრს, ვისაც ეს დახმარება სჭირდება.

მე შემიძლია კიდევ დიდხანს გელაპარაკოთ „ხესედი“-ს საქმიანობაზე თუმცა, ჩვენ, ჩვენს საქმიანობას არ ვაპიარებთ და არ ვაძლევთ რეკლამურ ხასიათს, ვფიქრობთ, რომ ქველმოქმედებას ეს არ უხდება.

და ბოლოს თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკის ებრაელთა გაერთიანებულ გამავრცელებელ კომიტეტს „ჯოინთს“ და მის წარმომადგენლობას საქართველოში, იმ მხარდჭერისათვის და იმ ფინანსური დახმარებებისათვის, რომლებსაც იგი გარკვეული წლების განმავლობაში ჩვენთან ახორციელებს.

ბარაკ ობამა: აშშ მხარს უჭერს ისრაელს, მაგრამ პალესტინელებსაც აქვთ უფლებები

აშშ პრეზიდენტი ვაშინგტონის სინაგოგაში მივიდა

22 მაისს, პარასკევ საღამოს, აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა ისრაელისადმი მხარდაჭერის მიზნით ვაშინგტონის ბეით ქნესეთში (სინაგოგაში) „ადას ისრაელ“ მივიდა.

კომენტატორები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტი ცდილობს აღადგინოს ადრინდელი ურთიერთობა ებრაულ თემთან, რომელიც აშშ საგარეო პოლიტიკამ შეარყია.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ბეით ქნესეთში, რომელიც კონსერვატული მიმართულებისაა, ბარაკ ობამამ წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა, რომ აშშ-ში ისრაელისადმი მხარდაჭერა უცვლელია. მისი თქმით, ამერიკისა და ებრაული სახელმწიფოს ძლიერი კავშირი არასოდეს არ შესუსტდება და მისი პირადი ვალდებულებაა დაიცვას ისრაელი.

მაგრამ ამასთან ერთად შეუძლებელია თვალი დავხუჭოთ იმ უთანხმოებაზე, რომელიც ახლო მოკავშირეებს შორის არსებობს. როგორც ბარაკ ობამა აცხადებს, მისი სურვილია შენარჩუნებული იქნას ისრაელის,როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ხასიათი, ეს კი შეუძლებელია, თუ არ იქნა დარეგულირებული კონფლიქტი პალესტინასთან. დარეგულირება კი უნდა შესდგეს პრინციპით: ორი სახელმწიფო ორი ხალხისათვის.

პრეზიდენტმა დასძინა:

— პალესტინელები არც ძლიერ სასურველი პარტნიორები არიან და საერთოდ მთელ ახლო აღმოსავლეთს რთული დრო უდგას, ამიტომ ისრაელი სამართლიანად საუბრობს თავისი საზღვრების უშიშროებაზე.

— მიუხედავად ყოველივე ამისა, ხაზი გაუსვა აშშ პრეზიდენტმა, პალესტინელებს, ისევე როგორც ებრაელებს, აქვთ უფლება ჰქონდეთ თავიანთი სახელმწიფო. ამერიკის ლიდერმა ირანის საკითხიც გაიხსენა და ხაზი გაუსვა, რომ ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებით არ დაუშვებს „ცუდი“ შეთანხმების მიღებას. ხელშეკრულების ქვეშ ჩემი ხელმოწერა იქნება და პირადად ვაგებ პასუხს იმაზე, რომ ისლამურ სახელმწიფოს ბირთვული იარაღი არ გაუჩნდეს.

ბარაკ ობამამ თავის გამოსვლაში ისიც გაიხსენა, სიჭაბუკეში ისრაელში მოგზაურობისას, რაოდენ მოხიბლული დარჩა ამ ქვეყნით, მისი კიბუცებით.

ციფი ხოტოველი: ნორვეგიაში უნდა გაიგონ, რომ იერუსალიმი განუყოფელი ქალაქია

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციფი ხოტოველი თავის ახალ თანამდებობას ეჩვევა. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერაც არ არის დანიშნული და ამ პოსტს ბინიამინ ნეთანიაჰუ ითავსებს, ადვილი მისახვედრია, თუ როგორია ციფი ხოტოველის ფუნქცია საგარეო საქმეთა სამინისტროში. 19 მაისს ხოტოველი შეხვდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბორგე ბრენდეს. ხოტოველმა ნორვეგიის საგარეო უწყების ხელმძღვანელს აუხსნა: ისრაელის მოქალაქეთა შორის მიღწეულია კონსესუსი:იერუსალიმი განუყოფელი ქალაქია. ხოტოველმა ისიც აღნიშნა, რომ ისრაელის ახალი ხელისუფლება მზად არის დიალოგისთვის და ვერ გაიზიარებს პალესტინელთა ცალმხრივ ქმედებებს.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპა მთლიანად და მათს შორის ნორვეგიაც, მხარს არ უჭერდეს პალესტინელთა ცალმხრივ ქმედებებს — განუცხადა ბრენდეს ხოტოველმა — ჩვენ ველოდებით, რომ თქვენ ზეგავლენას იქონიებთ პალესტინის ხელმძღვანელობაზე — მან უნდა სცნოს ისრაელი, როგორც ებრაული სახელმწიფო.

ციფი ხოტოველმა ბრენდესთან საუბარში გაიხსენა იერუსალიმის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ქნესეთში, სადაც ბინიამინ ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ იერუსალიმი ებრაული სახელმწიფოს განუყოფელი დედაქალაქია და ამ მოსაზრებას ოპოზიციის ლიდერი იცხაკ ჰერცოგიც დაეთანხმაო.

— ნორვეგიის ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ ისრაელში მიღწეულია კონსესუსი იერუსალიმის განუყოფლობის თაობაზე.

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ციფი ხოტოველის შეხვედრა მიმდინარეობდა ისრაელზე საერთაშორისო ზეწოლის ფონზე რომ ისრაელს იერუსალიმში, იუდეასა და სამარიაში შეეჩერებინა ახალი სახლების მშენებლობა.



გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულითადად ულოცავს ეეზრა ბარდანაშვილს (ისრაელი. ქ. ბათ-იამი) ებრაული თემის წევრობის ასაკის მიღწევას - ბარმიცვას. ეეზრას თავისი მოღვაწეობით ესახელებინოს ქართველი,ებრაელობა, ხოლო მის მშობლებს - მაია და სოსო ბარდანაშვილებს ჯანმრთელობას, შვილების ბედნიერებას. ვუსურვებთ

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის დაჯილდოება

ევროპის რაბინთა კონფერენციამ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი ანტისემიტიზმთან აქტიური ბრძოლის გამო იმანუელ იაკუბოვიცის პრემიით დააჯილდოვა. პრემიერ-მინისტრს პარიზში ჯილდო გადასცა ევროპის რაბინთა კონფერენციის პრეზიდენტმა ფინხაზ გოლდშმიდტმა, რომელიც ამავე დროს გახლავთ მოსკოვის მთავარი რაბინი.

ევროპის რაბინთა კონფერენციის პრემია გადაეცემათ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს,რომლებიც იბრძვიან ანტისემიტიზმის წინააღმდეგ.

ფინხაზ გოლდშმიდტმა პრემიის გადაცემისას აღნიშნა, მანუელ ვალსმა საფრანგეთში ჩატარებული ტერაქტების შემდეგ, თუ რაოდენ აქტიურად იბრძოლა იმათთან, ვინც ებრაელებს ესხმოდა თავს. მანვე დააწესა 100 მილიონი ევრო მასშტაბური გეგმის შემუშავებისათვის,რომლის მიზანი იქნება რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს გეგმა განათლებისა და სასამართლო სისტემის რეფორმასაც გულისხმობს.

ვროპის რაბინთა საბჭოს პრემია 2012 წელს დაწესდა და უკვე გადაეცათ პოლონეთის ყოფილ პრემიერს,ევროპარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ეჟი ბუზეკს, გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს.

მანუელ ვალსმა პრემიის მიღებისას თქვა:

— ძნელია საფრანგეთი წარმოიდგინო ებრაელების გარეშე.იუდეველთა წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტები ჩვენი გულისტკივილია, ამიტომ ებრაულ სკოლებს, სინაგოგებს, ყველა ორგანიზაციას იცავს და მანამ დაიცავს ათასობით ფრანგი სამხედრო, სანამ ეს საჭირო იქნება.

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი
საბავშვო პროგრამა “შალომ სეზამი”
ა ც ხ ა დ ე ბ ს

2015-2016 სასწავლო წლისათვის ბავშვების მიღებას 3,5 წლის ასაკიდან.

პროგრამა მუშაობს ისრაელის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის მეთოდიკის მიხედვით.

პროგრამაშია:

- ებრაული აღზრდა (ისტორია, კულტურა, ტრადიციის საწყისები)
- ივრითი
- ინგლისური ენა
- მუსიკა
- სიმღერა
- ცეკვა
- კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა – ექსკურსიები, ღონისძიებები, საბავშვო სპექტაკლებზე დასწრება

პროგრამა მუშაობს ყოველდღე (შაბათ კვირის გარდა)
10.00 დან 17.00 სთ-მდე
მისამართი: ვახტანგ VI ქ. 30

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 2701535; 555519733

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003